

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი პროექტი, რომლის თანახმადაც, იცვლება საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის სახელწოდება და მას ეწოდება „საქართველოს დაზვერვის სამსახური“.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონპროექტის მიღების მიზეზია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის დასახელების შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალ პროექტთან.

##### ა.ბ.) კანონპროექტის მიზანი:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის მიზანია შეიცვალოს საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის დასახელება და იგი შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალ პროექტთან.

##### ა.გ.) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონის პროექტის მიღებით შეიცვლება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის დასახელება, დასახელებიდან ამოღებული იქნება სიტყვები „საგარეო და სპეციალური“ და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით „საქართველოს დაზვერვის სამსახური“.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა.) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან დაფინანსების სხვა წყაროდან.

ბ.ბ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ.) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

*ბ.ე.) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:*

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

*ბ.ვ.) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):*

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას.

### გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

*გ.ა.) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:*

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მოთხოვნებს.

*გ.ბ.) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:*

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

*გ.გ.) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:*

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

### დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

*დ.ა.) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

კანონპროექტი შეთანხმებულია აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან.

*დ.ბ.) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

*კანონპროექტის ავტორი:*

საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური

*დ.დ.) კანონპროექტის ინიციატორი:*

საქართველოს პრეზიდენტი